პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (9731) | პარასკევი, 6 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 27 ოქტომბერს

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამა წლის სექტემბერში შედგა, მოისმინა და განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებაში და პლენუმის დადგენილებაში მოცემულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ამომწურავი დახასიათება და დასახულია მისი შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

სოციალისტური მშენებლობის წინა ეტაპებზე კომუნისტური პარტია მთავარ ყურადღებას აქცევდა მძიმე ინდუსტრიის, როგორც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძვლის, ყოველი ღონისძიებით განვითარებას. ჯერ კიდევ 1921 წელს გენიალურმა ლენინმა პარტიას მიზნად დაუსახა სოციალისტური მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „...თუ აღდგენილ არ იქნა მსხვილი მრეწველობა, ერთადერთი რეალური საფუძველი, სოციალისტურ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება“. აღნიშნავდა რა მძიმე ინდუსტრიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ი. ბ. სტალინი ამბობდა: „...მხოლოდ მძიმე მრეწველობას ძალუძს გარდაქმნას და ფეხზე დააყენოს მთლიანად მრეწველობაც, ტრანსპორტიც, სოფლის მეურნეობაც“.

როგორც ცნობილია, ჩვენმა პარტიამ წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა და ისტორიულად მოკლე ვადაში უზრუნველყო სახალხო მეურნეობის მძლავრი ინდუსტრიული ბაზის შექმნა, რამაც შესაძლებელი გახადა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ახალ ტექნიკურ საფუძველზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც შეიქმნა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იმყარება მძლავრ ინდუსტრიულ-ტექნიკურ ბაზას და წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და მექანიზებულ სოფლის მეურნეობას მსოფლიოში. მან უდავოდ დაამტკიცა თავისი გადამწყვეტი უპირატესობა წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, აგრეთვე მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე“.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების, აგრეთვე დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. ჩვენი კოლმეურნეობები წლითიწლობით მტკიცდებიან ორგანიზაციულად, ვითარდება მათი საზოგადოებრივი მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ღირებულებამ 1952 წელს ოთხნახევარჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგების განვითარებაში, როგორიც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოობა და სხვ.

კოლმეურნეობებში წარმატებები მიღწეულია აგრეთვე ყველაზე შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში. ამჟამად რესპუბლიკის კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რაც დიდად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას და ზრდის მის ნაყოფიერებას.

ამასთანავე, როგორც აღნიშნული იყო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და პლენუმის დადგენილებაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ წარმატებებთან ერთად არსებითი ნაკლოვანებებიც არის. უდიდეს რეზერვებს, რომლებიც ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წიაღშია, საკმაოდ არ იყენებენ, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნებს, აფერხებს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას, სერიოზული დაბრკოლებაა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდისათვის. ეს მთლიანად შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობასაც.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია კოლმეურნეობები და რაიონები, რომლებიც ჩამორჩენილი და უყურადღებოდ მიტოვებულიც კი არიან. ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა კვლავ მეტად დაბალია. განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩება მეცხოველეობა. უკანასკნელ წლებში არ სრულდება პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები, ჯერ კიდევ ძლიერ დაბალია მისი პროდუქტიულობა. საკმარისია ითქვას, რომ 1952 წელს, 1951 წელთან შედარებით, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში წველადობა ერთ ძროხაზე კიდევაც შემცირდა 95 კილოგრამით და საშუალოდ მხოლოდ 418 კილოგრამი შეადგინა.

სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის წარმოებაში. ამ კულტურების ფართობი ჩვენში არათუ არ იზრდება, არამედ კიდევაც შემცირდა, ხოლო მათი მოსავლიანობა ჯერ ისევ დაბალია. ამჟამად კარტოფილის ნათესები რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1943 წელთან შედარებით შემცირდა 4.900 ჰექტარით, ხოლო ბოსტნეული კულტურების ნათესები — 2.600 ჰექტარით. ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის მექანიზაცია ჩვენში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება.

ცნობილია, რომ მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეხილეობა, აგრეთვე მეთამბაქოობა და მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია. მიუხედავად მათი სერიოზული მნიშვნელობისა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის, ამ დარგების განვითარებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

წარსულში ადგილი ჰქონდა არასწორ ტენდენციას — გაედიდებინათ ხორბლის ნათესი ფართობები იმ რაიონებშიც კი, სადაც იგი არასოდეს არ მოჰყავდათ, ვითომდა იმ მიზნით, რომ საქართველო უზრუნველეყოთ საკუთარი წარმოების მარცვლეულით. ამ შეცდომამ გამოიწვია ის, რომ შეზღუდულ იქნა მევენახეობის შემდგომი განვითარება და შეწყდა ხეხილის ახალი ბაღების გაშენება. შემცირდა აგრეთვე თამბაქოს ფართობები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბოლომდე უნდა გამოასწორონ ეს შეცდომები და ყოველი ღონისძიებით განავითარონ ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ჩაი, ვენახი, ციტრუსები, თამბაქო.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს. განსაკუთრებით ბევრია ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და მექანიზაციის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მთელი სიგრძე-სიგანით დაუსახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა. ამ ამოცანის გადასაჭრელად უნდა დავრაზმოთ ყველა კომუნისტი, ყველა ჩვენი მეცნიერი, სოფლის მთელი ინტელიგენცია, ყველა კომკავშირელი, საკოლმეურნეო წარმოების ყველა პრაქტიკოსი. მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ წარმატებით გადავჭრათ ეს დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი.

### მეცხოველეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ამხანაგი გ. მ. მალენკოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „უნდა ვაღიაროთ, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ყველაფერი რიგზე ვერ არის და ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ხორცზე, რძეზე, კვერცხსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზე. ცნობილია, რომ ომამდელ წლებშიც მეცხოველეობა საკმაოდ არ იყო განვითარებული. ომის შემდეგ, თუმცა გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა პირუტყვის სულადობის აღდგენისა და შემდგომი გადიდებისათვის, მაგრამ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჩამორჩენა დღემდე არ არის დაძლეული. სულადობის ზრდის ტემპი საკმარისი არ არის, ხოლო პირუტყვის პროდუქტიულობა კვლავ დაბალია. ბევრ კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობა ჯერ კიდევ არ გამხდარა მეურნეობის მაღალპროდუქტიული და მაღალშემოსავლიანი დარგი, როგორიც იგი უნდა იყოს. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა ეკონომიურ მდგომარეობაზე და ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას“.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად მეცხოველეობის განვითარებაში დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს. უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკაში მეცხოველეობა თავმინებებულ მდგომარეობაშია და წარსულში მას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ერთგვარი მატება თუ არის, ამასთან ერთად დაშვებულია კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება.

მთლიანად რესპუბლიკაში 1945 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის ოქტომბრამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა 85,1 ათასი სულით, აქედან ძროხას სულადობა — 76,6 ათასი სულით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა უკანასკნელ წლებში არ სრულდება, ხოლო მთელ რიგ რაიონებში დაშვებულია სულადობის შემცირებაც.

პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან კაჭრეთის, ბოლნისის, წალკის, მაიაკოვსკის, ვანის, საჩხერის, ორჯონიკიძისა და აბაშის რაიონების კოლმეურნეობები. ამასთან აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებმა დაუშვეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირება წლის დამდეგისათვის არსებულ სულადობასთან შედარებით. ცუდი მდგომარეობაა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ.

საჭიროა უახლოეს 2-3 წელიწადში აღმოვფხვრათ ეს არანორმალური მდგომარეობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული საკვები ბაზის განვითარებაზე, პირუტყვისათვის საძოვრების არსებობაზე.

ჩვენში ფრიად დამაფიქრებელი მდგომარეობა შეიქმნა პირუტყვის პროდუქტიულობის მხრივ, რომლის გეგმას რესპუბლიკის კოლმეურნეობები წლითიწლობით ვერ ასრულებენ.

მაგალითად, საშუალო-წლიური წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე 1952 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეადგენდა მხოლოდ 418 კილოგრამს, ანუ გეგმის 53,8 პროცენტს, ხოლო მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის — 347 კილოგრამს, ანუ გეგმის 40,8 პროცენტს.

ჩვენში არის რაიონები, რომლებიც საშუალოდ ასრულებენ რძის წველადობის გეგმას. მაგრამ ისინი ამას აღწევენ ცალკეულ კოლმეურნეობათა ხარჯზე, რომლებიც გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონი უკანასკნელ სამ წელიწადში სისტემატურად ასრულებს რძის წველადობის გეგმას. მაგრამ ამ შესრულებას აქ აღწევენ ძირითადად 9 კოლმეურნეობის ხარჯზე 23 კოლმეურნეობიდან, 14 კოლმეურნეობა კი გეგმას ვერ ასრულებს. ეს იმიტომ ხდება, რომ რაიონის ხელმძღვანელები არ სწავლობენ მეტ წილ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზებს, არ იღებენ ზომებს ამ მიზეზების აღმოფხვრისათვის, არ იბრძვიან მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების დანერგვისათვის.

სხვანაირად რით შეიძლება აიხსნას ისეთი მდგომარეობა, რომ ორი მეზობელი კოლმეურნეობა — კამოს სახელობისა და მალენკოვის სახელობისა ბოგდანოვკის რაიონში — თანაბარ პირობებში წველადობის მხრივ ესოდენ სხვადასხვა შედეგს იღებს? პირველმა მათგანმა მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის თვითეულ ძროხაზე მიიღო 750 კილოგრამი რძე, მეორემ კი — 1.440 კილოგრამი.

მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ მაღალ მაჩვენებლებს იმ გზით მიაღწია, რომ აქ შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა, გააუმჯობესეს ჯოგის შემადგენლობა, აღმოფხვრეს ძროხების ბერწიანობა და პირუტყვის სიკვდილიანობა, მოაწყეს ხბოების ხელზე გამოკვება, რძის ზუსტი აღრიცხვა, აგრეთვე იმის მეოხებით, რომ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და კარგად დააყენეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ფერმის მუშაკთა შორის.

კამოს სახელობის კოლმეურნეობაში 1953 წელს 215 ძროხიდან ბერწი დარჩა 79, ხოლო 1952 წელს — ნაყიდი 60 ძროხიდან ბერწი დარჩა 40. კოლმეურნეობის ძროხები უზრუნველყოფილი არ არიან ბინებით, მოთავსებული არიან კოლმეურნეთა ბოსლებში, მოკლებული არიან ჯეროვან მოვლას. არ წარმოებს მოწველილი რძის ზუსტი აღრიცხვა.

თითქმის ყოველ რაიონშია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებსაც პირუტყვის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ამ მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას სუსტად უწევენ პოპულარიზაციას, მას არ ნერგავენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში.

ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, იმის მეოხებით, რომ ძროხები ბაგურ შენახვაზე გადაიყვანეს და სწორად მოაწყეს მოვლა და კვება, 1952 წელს საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 2.410 ლიტრი რძე. კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა ხ. კაკალაძემ მოწველა 2.535 ლიტრი რძე, მწველავმა შიშმანიძემ — 2.940 ლიტრი.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბექის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. არზუმანიანმა 1952 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.500 ლიტრი რძე, მაშინ როცა გეგმა 1.500 ლიტრს ითვალისწინებდა.

ეს ციფრები ყველაზე მაღალია რესპუბლიკაში. აქ ამჟამად იმყოფება ამხ. გელაშვილი — პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანი. იგი ჩვენი იმ კოლმეურნეების დელეგაციის შემადგენლობაში იყო, რომლებმაც ამას წინათ ინახულეს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, მოსკოვის ახლოს. ამ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ლაქტაციის პერიოდში ცალკეული ძროხებისაგან 7, 8 და 9 ათას ლიტრ რძეს იღებენ.

მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ჩვენი მეცნიერები ყურადღებას არ აქცევენ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას და მეცხოველეობაში დანერგვას და სუსტად ეხმარებიან მეცხოველეობის მუშაკებს, მოწინავე ზოოტექნიკური ხერხები და საუკეთესო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორების მუშაობის მეთოდები, აგრეთვე მეცნიერების მიღწევები არადამაკმაყოფილებლად ინერგება პრაქტიკაში.

მიმდინარე წლის შვიდ თვეში ბაგურ შენახვაზე გადაყვანილ იქნა მხოლოდ 1.240 ძროხა გეგმით გათვალისწინებული 10.000-ის ნაცვლად. ბაგურ შენახვაზე რომ გადაეყვანათ ყველა 10.000 ძროხა და საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიეღოთ ორი ათასი კილოგრამი რძე, მაშინ გეგმა 14 პროცენტის გადაჭარბებითაც კი შესრულდებოდა. პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ძოვება მოწყობილია 280 კოლმეურნეობაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 კოლმეურნეობისა. გეგმა ითვალისწინებდა მწვანე კონვეიერის გამოყენებას 50 კოლმეურნეობაში, ნამდვილად კი იგი მხოლოდ 10 კოლმეურნეობაში განხორციელდა. ძროხების წველადობის გაზრდა წვნიანი და სხვა საკვების უხვად მიცემით მოწყობილია 161 კოლმეურნეობაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 კოლმეურნეობისა. ჩვენ ახლა ყველა კოლმეურნეობაში ყველა ძროხა აუცილებლად უნდა გადავიყვანოთ ბაგურ და ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე.

საკვები რესურსები ბევრ კოლმეურნეობაში ფრიად შეზღუდულია. და, მიუხედავად ამისა, ხშირად კოლმეურნეობები მთლიანად როდი იყენებენ არსებულ საკვებს, არ ეწევიან მის სათანადოდ შემზადებას პირუტყვისათვის მისაცემად. მეცნიერებითა და პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ ეს ღონისძიება გავლენას ახდენს რძის, ხორცის, ცხიმის, მატყლის, ტყავის და სხვ. გამოსავლიანობის გადიდებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკვების შემზადება გათვალისწინებული იყო რესპუბლიკის 1.500 კოლმეურნეობაში, განვლილ პერიოდში იგი ხორციელდებოდა მხოლოდ 89 კოლმეურნეობაში, და ისიც არასრულად, დაუდევრად.

ცნობილია, რომ მეცხოველეობაში სამუშაოთა მექანიზაცია მნიშვნელოვნად ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას, რამდენჯერმე ადიდებს მის ნაყოფიერებას, ათავისუფლებს დიდძალ მუშახელს, ზრდის პროდუქციის გამოსავლიანობას, აჩქარებს სამუშაოთა შესრულების ვადებს, აუმჯობესებს ფერმებში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. მაგალითად, ცხვრის ელექტროპარსვა ოთხჯერ-ხუთჯერ ამცირებს მუშახელის საჭიროებას, ზრდის მატყლის ნაპარსს. საკვების მექანიზებული შემზადება 10-15-ჯერ ამცირებს მუშახელის საჭიროებას.

მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი უპირატესობებისა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია ჩვენს მეცხოველეობის ფერმებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მექანიზაციის გეგმები წლითიწლობით შეუსრულებელი რჩება. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ახალციხის, ხაშურის, გორის, წალკის, ახმეტისა და ამბროლაურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წელს სრულებით არ შესდგომიან მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გეგმის შესრულებას.

სულ რესპუბლიკაში ძროხების ელექტროწველა 1952 წელს გამოყენებული იყო მხოლოდ ხუთ კოლმეურნეობაში, ცხვრის ელექტროპარსვა კი — 306 კოლმეურნეობაში.

ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ ოლქებში დიდი ხანია ფართოდ იყენებენ ფერმებში ავტოსარწყულებლებს. ჩვენში ამჟამად ავტოსარწყულებლები აქა-იქ დადგმულია, მაგრამ მათ არ იყენებენ. ძროხების დროზე რწყულება კი წველადობას 10-15 პროცენტით ადიდებს. თუ ამასთან კვებასაც გავაუმჯობესებთ, გადაჭრით გავაუმჯობესებთ პირუტყვის მოვლას, წველადობა რამდენჯერმე გაიზრდება. როგორც ხედავთ, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების შესაძლებლობანი უდიდესია. ზოგიერთ ჩვენს მუშაკს არა სურს შეიგნოს ეს. უნდა ვაიძულოთ ისინი შეიგნონ ეს და იმუშაონ ისე, როგორც პარტია მოითხოვს ჩვენგან.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტ წილ კოლმეურნეობებში, სადაც მეცხოველეობის ფერმები მექანიზებულია, ცუდად იყენებენ მანქანებსა და აგრეგატებს. ცალკეულ შემთხვევებში კი მექანიზმები ფუჭდება.

ჩვენში ჯერ კიდევ დიდია დედაპირუტყვის ბერწიანობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ პირუტყვს არადამაკმაყოფილებლად კვებავენ და უვლიან, ბევრი კოლმეურნეობის ჯოგში ჰყავთ დაბერებული, მომრავლებისათვის უვარგისი დედაპირუტყვი, მეცხოველეობის მთელი რიგი ფერმები უზრუნველყოფილი არ არის მწარმოებლებით, ცუდად არის მოწყობილი პირუტყვის დაგრილება და ხელოვნური დათესვლა.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ დროზე არ ახორციელებენ საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს ბერწიანობის ლიკვიდაციისათვის. ჩვენი მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ ბერწიანობასთან ბრძოლაში მთავარია პირუტყვის მოვლა, კვება და დაგრილების კამპანიის დროულად ჩატარება.

პირუტყვის ცუდი კვების, მოვლისა და შენახვის და ნამატის გაზრდის საქმის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, აგრეთვე ეპიზოოტიის შედეგად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია პირუტყვის სიკვდილიანობა. საკითხავია — რისთვისღა ვამრავლებთ პირუტყვს, თუ იგი გვეღუპება?

ბევრი რაიონის კოლმეურნეობებში არის პირუტყვის განიავების შემთხვევები. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე დაკლული და გაყიდულია 44,8 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 245,2 ათასი ცხვარი და თხა და 154,4 ათასი ღორი.

ჯოგის მომრავლების სამუშაოთა არადამაკმაყოფილებლად მოწყობის, დედაპირუტყვის სულადობის დაბალი ხვედრითი წონისა და მისი ბერწიანობის შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობათა უმრავლესობა გეგმის შესასრულებლად იძულებულია მნიშვნელოვანი რაოდენობით იყიდოს პირუტყვი, რაზეც ცოტა სახსრებს როდი ხარჯავს. მაგალითად, 1952 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა შეისყიდეს 91,4 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 73,3 ათასი სული ცხვარი და თხა და 13,6 ათასი ღორი, რაზეც დახარჯეს 98 მილიონი მანეთი, ანუ კოლმეურნეობების მიერ მეცხოველეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის 39,2 პროცენტი.

კოლმეურნეობები ყიდულობენ, ჩამოჰყავთ პირუტყვი, ამაზე დიდძალ ფულს ხარჯავენ, ხოლო ცუდი მოვლის შედეგად პირუტყვი შემდგომ იღუპება. განა ეს დანაშაული არ არის!

ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა მისი საკუთარი მომრავლებით. თუ არის 100 ძროხა, ხბოც 100 უნდა გავზარდოთ. მოწინავე კოლმეურნეობებმა დაამტკიცეს, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია.

პირუტყვის სულადობის მომრავლებისა და შენარჩუნების საქმეში არანორმალური მდგომარეობა შეუწყნარებელია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა მიიღონ ღონისძიებანი დედაპირუტყვის სულადობის ბერწიანობისა და პირუტყვის სიკვდილიანობის სალიკვიდაციოდ, ნამატის შესანარჩუნებლად და ამით უზრუნველყონ ჯოგის შემდგომი ზრდა მისი საკუთარი მომრავლებით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი. მათ მჭიდრო ურთიერთობა არა აქვთ მეცხოველეობის პრაქტიკოსებთან, საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და მისი შენარჩუნების საქმეში, მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის ბრძოლაში. ისინი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გაგრძელება

ჩვენი რესპუბლიკის პირობებთან შეგუებული ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების პირუტყვის გამოყვანაზე.

ცნობილია, რომ რძის საერთო გამოსავლიანობის ზრდის წყაროა დედაპირუტყვის სულადობა, რომლის ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო ჯოგში, სამწუხაროდ, ძალიან მცირეა. 1952 წელს იგი შეადგენდა 21,7 პროცენტს. ზოგიერთი ფიქრობს, თუ ჯოგში რქიანი პირუტყვია, ეს უკვე რძე არისო. რქიანი პირუტყვი შეიძლება იყოს, მაგრამ რძე იქნება თუ არა, ეს არ ვიცით.

ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა — მკვეთრად გავადიდოთ ფერმებში ძროხის სულადობა და რძის საერთო გამოსავლიანობის გადიდებისა და საკუთარი მომრავლებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით უახლოეს წლებში ავიყვანოთ ძროხის სულადობის ხვედრითი წონა ფერმებში: საგარეუბნო რაიონების კოლმეურნეობებში — სულ ცოტა 60 პროცენტამდე, მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში — 40 პროცენტამდე, დანარჩენ რაიონებში — 50 პროცენტამდე. ამასთან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებულია ძროხის სულადობის გადიდების გეგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მნიშვნელოვან მოცულობასთან დაკავშირებით შეიქმნა გამოუყენებელი მუშაპირუტყვის (ხარისა და ცხენის) ზედმეტი სულადობა, რომელზეც დიდძალი საკვები იხარჯება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ამ რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად უახლოეს დროში უნდა განახორციელოს მუშაპირუტყვის სულადობის შემცირების საჭირო ღონისძიებანი და ამასთან გაადიდოს ფერმებში პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

მეფრინველეობის შემდგომი განვითარების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ კოლმეურნეობებს ჰქონდეთ მეფრინველეობის ფერმები, სადაც 1954-1955 წლებში ეყოლებათ სულ ცოტა 100-200 კვერცხმდებელი ქათამი მარცვლეული კულტურების ნათესების ყოველ 100 ჰექტარზე ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მოეწყო მეფრინველეობის 25 საინკუბატორო სადგური, რომლებშიც ერთდროულად აწყობენ 1.900 ათას კვერცხს და რომლებიც ყოველწლიურად გეგმიანად ამარაგებენ კოლმეურნეობებს, აგრეთვე დიდი რაოდენობით აძლევენ მოსახლეობას წიწილებს.

მიუხედავად იმისა, რომ სადგურებმა შეასრულეს წიწილების გამოყვანისა და გაყიდვის გეგმა, კოლმეურნეობებში მათი გაზრდის საქმე ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული, არის მოზარდეულის დიდი დანაკარგი.

კასპის რაიონის სოფელ ნოსტეს სააკაძის სახელობის კოლმეურნეობაში მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურებიდან მიღებულ წიწილებს სრულიად მოუწყობელ შენობაში ინახავდნენ. მეფრინველემ რიგიანად არ იცოდა, როგორ დაეზარდა ისინი. დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად კოლმეურნეობაში წიწილების ნახევარი დაიღუპა. ეს აქტებით გააფორმეს ასეთი დიაგნოზით: „წიწილებს დედები არა ჰყავთ“. უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ — კარგი პატრონი არა ჰყავთო.

წყალმცურავი ფრინველის მოშენების განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ფოთისა და ხობის რაიონებში და კოლხიდის დაბლობის სხვა ადგილებში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს შესაძლებლობანი სრულიად გამოუყენებელია. ვფიქრობ, რომ თუ კარგად მოვაწყობთ წყალმცურავი ფრინვლის (ბატი და იხვი) მოშენებას, ამ ფრინვლით შეიძლება შევასრულოთ ხორცის ჩაბარების გეგმა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. მაგრამ, მიუხედავად სხვა რესპუბლიკებიდან ჯიშიანი მოზარდეულის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოყვანისა, არადამაკმაყოფილებელი მოვლის, კვებისა და შენახვის შედეგად ჯიშიანი პირუტყვის ხვედრითი წონა საერთო ჯოგში 1953 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — სულ 17,1 პროცენტს, ცხვრისა — 44,9 პროცენტს, ღორისა — 36,3 პროცენტს და ცხენისა — 17,5 პროცენტს. შემოყვანილი პირუტყვის მნიშვნელოვანი რაოდენობა ბევრ კოლმეურნეობაში დაიღუპა, ხოლო ძვირფასი მწარმოებლებისაგან, მათი ცუდი გამოყენების შედეგად, მიღებულია უმნიშვნელო ნამატი.

საჭიროა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითეული საჯიშე ფერმის გადაქცევას ჯიშიანი მოზარდეულის მომრავლების სანიმუშო მეურნეობად.

ამხანაგებო! რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აიხსნება უწინარეს ყოვლისა საკვების წარმოებისა და დამზადების სერიოზული ჩამორჩენით.

განსაკუთრებით შემცირდა საკვები ბაზა უკანასკნელ წლებში იმის გამო, რომ ხორბლის ნათესებისათვის მოხნულია საუკეთესო საძოვრების, სათიბებისა და საბალახეების, პირუტყვის გასარეკი ტრასებისა და გასაჩერებელი მოედნების მნიშვნელოვანი ტერიტორია.

როგორც თქვენთვის ცნობილია, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არასწორად იყო გაუქმებული თესლბრუნვა. ამავე დროს თესლბრუნვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საშუალებაა.

ეს შეცდომა დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1953 წლიდან აკრძალულია ბუნებრივი საკვები სავარგულების მოხვნა, რომლებსაც წყლისა და ნიადაგის დამცველი მნიშვნელობა აქვს. ეს დადგენილება მოითხოვს აგრეთვე აღდგენილ იქნას ყველა წინათ მოხნული საძოვრები, სათიბები და საბალახეები, რათა ისინი გამოყენებულ იქნან პირდაპირი დანიშნულებით.

იმის გამო, რომ დაბალია საკვები კულტურების მოსავლიანობა, აგრეთვე სუსტია თივის აღების, განსაკუთრებით თივის დაზვინვის, ნამჯის აღებისა და დაზვინვის მექანიზაცია, წლითიწლობით არ სრულდება საკვების დაგროვების სახელმწიფო გეგმები. საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილება უხეშ, წვნიან და კონცენტრირებულ საკვებზე ვერ კმაყოფილდება.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში 1952 წელს საკვები ჭარხლის საშუალო მოსავალმა შეადგინა არაუმეტეს 27,5 ცენტნერისა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 ცენტნერისა, მაშინ როცა იმავე რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის მოსავალმა ჰექტარზე 250 ცენტნერსა და მეტს მიაღწია.

საკითხავია, რატომ ისეთივე მზრუნველობით არ უვლიან საკვები ჭარხლის ნათესებს, როგორც შაქრის ჭარხლის ნათესებს, ამ რაიონის კოლმეურნეობებში, როცა იქ წვნიანი საკვების დიდი დეფიციტია?

ჩვენში ძირითადი საკვები კულტურაა სიმინდი. სამწუხაროდ, სიმინდის წარმოების საქმეში ჩვენ ძალიან ჩამოვრჩით სხვა რესპუბლიკებს. მიზეზი ის არის, რომ ამ კულტურის მოყვანა ჩვენში სრულიად არ არის მექანიზებული. ჩვენ მოვალენი ვართ უმოკლეს ვადაში გამოვასწოროთ მდგომარეობა ამ დარგში.

მაღალხარისხოვანი საკვების დამატებითი რეზერვების შექმნის საქმეში დიდ დახმარებას წარმოადგენს ნაწვერალზე საკვები კულტურების თესვის ფართო მასშტაბით დანერგვა. ასეთი ნათესები, როგორც მოწინავე კოლმეურნეობების პრაქტიკამ გვიჩვენა, წარმატებით შეიძლება განხორციელდეს სარწყავი მიწათმოქმედების ბევრ დაბლობ რაიონში.

უახლოეს წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში განზრახულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საკვები ბალახების, ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესები. მათი თესვა მოხდება თესლბრუნვის სისტემაში. ამ ღონისძიების წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკვები კულტურების თესლით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფაზე. ამავე დროს მთელი რიგი რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და ბაღჩეული კულტურების თესლის წარმოებას და ყოველწლიურად სთხოვენ მთავრობას მისცეს მათ სახელმწიფო ფონდებიდან საკვები კულტურების თესლი. კმაყოფაზე ყოფნის ასეთი განწყობილება უნდა აღმოიფხვრას. აუცილებელია თვითეულ კოლმეურნეობაში უახლოეს დროში მოეწყოს საკვები კულტურების თესლის წარმოება საჭირო ოდენობით.

მიუხედავად ბუნებრივი საკვები ბაზის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ამ სავარგულების სწორი ექსპლოატაციის საკითხებს საკმაო ყურადღება არ ექცეოდა და არ ექცევა.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მდელოებისა და საძოვრების ზედაპირის გაუმჯობესების გეგმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შესრულებულია მხოლოდ 8,8 პროცენტით. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებისა და სწორი გამოყენების საქმისადმი.

საკვების დამზადება ბევრ რაიონში წელსაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 15 ოქტომბრისათვის უხეში საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 53,1 პროცენტით, ხოლო სილოსის ჩადების გეგმა — 87,9 პროცენტით. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ გადამწყვეტი ზომები და უზრუნველვყოთ საკვების დაგროვების გეგმის უთუოდ შესრულება.

ზამთრის საძოვრებზე პირუტყვის გამოზამთრების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რომ ცხვარი საჭირო რაოდენობით იყოს უზრუნველყოფილი თივის სადაზღვევო მარაგით. ყაზბეგის, თიანეთის და სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობას სრულებით არა აქვს ეს მარაგი საძოვრებზე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა სრულიად არასაკმაო რაოდენობით ეწევა სილოსის ჩადებას, დებს სილოსს მოუპირკეთებელ, პრიმიტიულ ნაგებობებში, უხეშად არღვევს დასილოსების ტექნიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნო, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ერთ საფურაჟე ძროხაზე ჩადოს სულ ცოტა 5-6 ტონა სილოსი, ააშენოს სილოსის ნაგებობანი ისეთი მოცულობით, რაც სრულად უზრუნველყოფდეს საკვების დასილოსების დაწესებულ გეგმებს.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში არასწორი დაგეგმვის შედეგად შემცირდა მარცვლეული საფურაჟე კულტურების — ქერის, შვრიისა და ფეტვის ნათესი ფართობები, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამ კულტურების თესვა საერთოდ შეწყვიტეს. ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. მარცვლეული საფურაჟე კულტურების თესვა ფართოდ უნდა გავავრცელოთ, რათა თვითეულ კოლმეურნეობაში საჭირო რაოდენობით შევქმნათ მარცვლეული საფურაჟე ფონდები მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

ბევრი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანო არ ზრუნავს დამზადებული საკვების სწორად გამოყენებისათვის. იშვიათი როდია საკვების უყაირათოდ შენახვისა და გამოყენების შემთხვევები. იმ მიზნით, რომ მომჭირნედ გამოვიყენოთ საკვები და იმისათვის, რომ პირუტყვმა ის უკეთ შეირგოს, საჭიროა ფართოდ შემოვიღოთ საკვების გადამუშავება და შემზადება პირუტყვისათვის მისაცემად.

უნდა გვახსოვდეს, რომ საკვების დამზადება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა და ამ სამუშაოს ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა მტს-ების ხელმძღვანელებსაც ეკისრებათ.

უკანასკნელ წლებში ბევრ კოლმეურნეობაში გაწეულია გარკვეული მუშაობა მეცხოველეობის ტიპური ფერმების მშენებლობისათვის. მაგრამ ბევრი პირუტყვი ჯერ კიდევ პრიმიტიულ, კეთილმოუწყობელ ბინებშია, ხოლო ნაწილი მოთავსებულია კოლმეურნეთა ბოსლებში.

მეცხოველეობის ისეთ რაიონებში, როგორიც ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ამბროლაურის რაიონებია, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 50 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილი არ არის ბინებით, ხოლო გორის, ქარელის, თიანეთის, ქუთაისის, გეგეჭკორის რაიონებში ბინები არა აქვს პირუტყვის 30-მდე პროცენტს.

1 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის წლიური გეგმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის შესრულებულია მხოლოდ 16,4 პროცენტით, ხბოებისათვის — 12,5 პროცენტით, ღორებისათვის — 15,4 პროცენტით, ცხვრისა და თხისათვის — 22,4 პროცენტით და ფრინველისათვის — 17,5 პროცენტით.

კოლმეურნეობებში მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის ახლანდელი მდგომარეობა აიხსნება ამ საქმისადმი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით და ცეკავშირის გამგეობის ცუდი მუშაობით. ისინი ვერ უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის სადგომების აგებისათვის საჭირო საშენი მასალებით.

ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ კეთილმოწყობილი ბინებით პირუტყვის უზრუნველყოფის საქმისადმი არსებულ გულგრილ დამოკიდებულებას, უმოკლეს ვადაში შევასრულოთ მშენებლობის გეგმა, დავამთავროთ მეცხოველეობის ბინების რემონტი და უზრუნველვყოთ პირუტყვის მაძღარი გამოზამთრება.

ჩვენს რესპუბლიკას ზოოვეტერინარულ დაწესებულებათა ფართო ქსელი აქვს. ამ დაწესებულებებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში 2.600-ზე მეტი სპეციალისტი მუშაობს. ეს დიდი ძალაა. მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანომ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ჯეროვნად გამოეყენებინათ სპეციალისტები.

მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მეცხოველეობის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომსახურება. ბევრი ზოოტექნიკურ-ვეტერინარული უბანი ქმედით დახმარებას ვერ უწევს კოლმეურნეობებს. სპეციალისტებს ზოგჯერ კოლმეურნეობებში სხვადასხვა ცნობების შესაკრებად იყენებენ ან გადაჰყავთ სხვა სამუშაოებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის მეცხოველეობასთან.

მეცხოველეობის წარმატებით გაძღოლისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის შენახვისა და მისი სულადობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად დაყენებას.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმებით გამორკვეულია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწყობილი არ არის პირუტყვის სულადობის აღრიცხვა, არ ხდება პირუტყვის ყოველთვიური ხელახალი აღრიცხვა ნატურით, კოლმეურნეობათა გამგეობები თავიანთ სხდომებზე არ ამტკიცებენ ანგარიშებს პირუტყვის რაოდენობის შესახებ. დამთავრებული არ არის პირუტყვის დადამღვა (ნუმერაცია), არის პირუტყვის მიწერის და აღრიცხვისაგან გადამალვის ფაქტები. ამის შედეგად ყოველთვიური საანგარიშო მონაცემები მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ ცალკეულ შემთხვევებში არ შეესაბამება პირუტყვის ფაქტიურ სულადობას.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათი ვალია ჩააბან სოფლის ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველა ღონისძიებით განავითარონ მისი ძვირფასი თაოსნობა და ინიციატივა, ხელი შეუწყონ მას. ამჟამად მეცხოველეობაში ახალი ძალები, ახალი კადრები მიდიან. კომკავშირელები, კოლმეურნე ქალიშვილები უნდა წავიდნენ ფერმებში, რომ სანიმუშოდ დააყენონ იქ მუშაობა. ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყველა ღონისძიებით მოიზიდონ ახალგაზრდობა, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ბოლო მოუღონ ზერელე ხელმძღვანელობის პრაქტიკას, სოფლის მეურნეობის ამ დარგში საქმის ვითარებაში ჩაურევლობის პრაქტიკას, კონკრეტულად უხელმძღვანელონ თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ს. ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გადიდების გეგმების უთუოდ შესრულებას. რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სანიმუშო წესრიგი ყველა ფერმაში, ფართოდ დანერგონ მეცხოველეობაში მექანიზაცია და მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. საჭიროა დავრაზმოთ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ძალები ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად და უზრუნველვყოთ რესპუბლიკაში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა.

## მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ

### ჩაის მეურნეობა და მეციტრუსეობა

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს ჩაის პლანტაციების ფართობების გასადიდებლად, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ასამაღლებლად. ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში 1953 წლის 1 ივლისისათვის 60 ათას ჰექტარზე მეტს შეადგენდა.

ჩაის მოსავლიანობა წლითიწლობით მატულობს. მაგალითად, თუ 1946 წელს პლანტაციების საშუალო მოსავლიანობა რესპუბლიკაში ჰექტარზე 605 კილოგრამს შეადგენდა, 1953 წელს მან 2.600 კილოგრამს გადააჭარბა.

მაგრამ ჩაის პლანტაციების საერთო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან ერთად ჩვენში არის მთელი რიგი რაიონები და კოლმეურნეობები, სადაც პლანტაციების ნაწილი უყურადღებოდ არის მიტოვებული, ხოლო მათი მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია.

მაშინ როცა ჩაის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე ქუთაისის რაიონში 1953 წელს 2.600 კილოგრამს გადააჭარბა, ხოლო სამტრედიის რაიონში — 2.400 კილოგრამს, მათ მეზობელ წყალტუბოს, აბაშისა და წულუკიძის რაიონებში, სადაც ნიადაგისა და ჰავის ისეთივე პირობებია, ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა პირველ რაიონში არ აღემატება 910 კილოგრამს, მეორეში 900 კილოგრამს და მესამეში 1.680 კილოგრამს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია ჩაის პლანტაციების ფართობების გადიდება 1955 წლის დამლევისათვის 60 პროცენტით და ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავლის გადიდება დაახლოებით 75 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა 1954-1955 წლებისათვის დაწესებულია 10.000 ჰექტარის რაოდენობით, აქედან 1954 წელს — 4.500 ჰექტარი და 1955 წელს — 5.500 ჰექტარი.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააშენონ 4.500 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები. წლის პირველ ნახევარში გაშენდა 1.880 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი 2.620 ჰექტარი უნდა გაშენდეს მიმდინარე შემოდგომაზე.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე და 1954 წლის გაზაფხულზე გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად უნდა მომზადდეს ნიადაგი 5.020 ჰექტარ ფართობზე.

15 ოქტომბრის მდგომარეობით ნიადაგი მომზადებულია 3.180 ჰექტარ ფართობზე, ესე იგი შესრულებულია გეგმის 63,3 პროცენტი.

ნიადაგის მომზადების საქმეში განსაკუთრებით ძლიერ ჩამორჩებიან სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც 15 ოქტომბრისათვის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 25,3 პროცენტით; ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 40 პროცენტით, თერჯოლის — 33,3 პროცენტით და გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებმა — 50 პროცენტით. ქობულეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აბაშის, გეგეჭკორისა და მთელი რიგი სხვა მტს-ები არასაკმაოდ ეხმარებიან კოლმეურნეობებს ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადებაში.

სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა 1949-დან 1953 წლამდე გარკვეული მუშაობა გასწიეს ჩაის პლანტაციების მწკრივთა შორის დასამუშავებელი და ჩაის ბუჩქის გასასხლავი მანქანების შესაქმნელად. მიმდინარეობს აგრეთვე ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის გამოცდა.

როგორც სახელმწიფო გამოცდამ გვიჩვენა, ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა თანდათან უმჯობესდება. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც არ შეესაბამება წარმოების მოთხოვნებს, აქვს არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის გულმოდგინე მუშაობის შედეგად შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას. ბიუროს მუშაკებმა უნდა შექმნან და 1953-1954 წლებში გამოსცადონ ჩაის ფოთლის საკრეფი ახალი მანქანები.

1953 წლისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესდათ 108 ათასი ტონის რაოდენობით. 20 ოქტომბრის მდგომარეობით მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 106.407 ტონა, ანუ გეგმის 98,5 პროცენტი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმას ვერასრულებენ წყალტუბოს, წულუკიძის, აბაშისა და ცხაკაიას რაიონები.

ჩამორჩებიან აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკა, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონები. მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან ყველაფერი გააკეთონ ჩაის ფოთლის კრეფისა და ახალი პლანტაციების გაშენების გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

საჭიროა შევისწავლოთ იმ რაიონების ჩამორჩენის მიზეზები, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს, და მივიღოთ აუცილებელი ზომები ჩამორჩენის დასაძლევად.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გადიდებას 4,5-ჯერ 1950 წელთან შედარებით, ე. ი. ნარგავთა ფართობის აყვანას 30.000 ჰექტარამდე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად 1954-1955 წლების მანძილზე ციტრუსოვანი ნარგავები უნდა გავაშენოთ 5.000 ჰექტარზე, აქედან 1954 წელს — 2.500 ჰექტარზე და 1955 წელს — 2.500 ჰექტარზე. ამრიგად, ციტრუსოვანი ნარგავების ფართობი 1955 წლის დამლევისათვის აყვანილ იქნება 31.500 ჰექტარამდე ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 30.000 ჰექტარისა.

1953 წლის 1 ივნისისათვის ციტრუსოვანი ნარგავების ფართობები აყვანილია 21.606 ჰექტარამდე, აქედან ლიმონს უჭირავს 7.072 ჰექტარი, ფორთოხალს — 5.700 ჰექტარი, მანდარინსა და სხვა ციტრუსებს — 8.834 ჰექტარი. დავალება ლიმონისა და ფორთოხლის გაშენების დარგში მთლიანად შესრულებულია. ციტრუსოვანი კულტურების აღდგენისა და შემდგომი განვითარების გეგმის შესასრულებლად კიდევ გასაშენებელია 8.391 ჰექტარი.

იმის გამო, რომ არღვევენ ციტრუსოვანი კულტურებისათვის ნიადაგის მომზადებისა და მათი რგვის აგროტექნიკურ წესებს, დროზე და კეთილხარისხოვნად არ ახორციელებენ ნარგავების მოვლის მთელ რიგ ღონისძიებებს, კერძოდ, არ უზრუნველყოფენ ორგანული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში აგრეთვე მინერალური სასუქებით, დროზე და სრულად არ იღებენ დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის ზომებს, — ციტრუსოვანი ნარგავები რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ჩამორჩებიან განვითარებაში, მათი მოსავლიანობა მეტად დაბალია.

ყველა რაიონში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება ციტრუსების გასაშენებლად. 15 ოქტომბრის მდგომარეობით კოლმეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნიადაგი მომზადებულია 3.338 ჰექტარ ფართობზე, მაშინ როცა გეგმა 8.672 ჰექტარს ითვალისწინებს, ე. ი. გეგმა შესრულებულია 38,5 პროცენტით. მუშაობის ასეთი ტემპები ქმნის ნიადაგის მომზადების წლიური გეგმის შესრულების ჩაშლის საფრთხეს.

ნიადაგის მომზადების არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა ჩაშლის საფრთხეს უქმნის აგრეთვე ციტრუსების გაშენების 1953 წლის გეგმის შესრულებას. წელს ჩვენ უნდა გავაშენოთ 6.000 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები. აქედან გაზაფხულზე გაშენდა 1.115 ჰექტარი, დანარჩენი 4.885 ჰექტარი უნდა გაშენდეს შემოდგომაზე.

სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ (ამხ. გიორგაძე) და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ (ამხ. ალავიძე) ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში შეასრულონ ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმა, უზრუნველყონ ისინი ორგანული და მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები.

მიმდინარე წელს, წინასწარი მონაცემებით, მოსალოდნელია ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი 275 მილიონი ცალის რაოდენობით. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი და უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის ციტრუსების ნაყოფის დროზე ჩაბარება.

### მევენახეობა

მევენახეობა — ჩვენი სოფლის მეურნეობის სიამაყე — რესპუბლიკის მეტი წილი რაიონებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით დაწესებულია 1954-1955 წლებში ახალი ვენახების გაშენების გეგმა 7.450 ჰექტარზე, აქედან 1954 წელს 3.100 ჰექტარზე და 1955 წელს — 4.350 ჰექტარზე.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ იმ რაიონებში, სადაც წინათ მევენახეობას არ მისდევდნენ, როგორც, მაგალითად, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ახლა უკვე შეუდგნენ ვენახების გაშენებას.

კოლმეურნეობებში ვენახების გაშენების წლიური გეგმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე 48,8 პროცენტით შესრულდა. გაშენების გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს, ვანის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის რაიონები, ხოლო თელავის, კაჭრეთის, გარეუბნისა და მარნეულის რაიონებში წელს სრულებით არ გაუშენებიათ ვენახები. ვენახების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 73,4 პროცენტით.

მიუხედავად ვენახების მნიშვნელოვანი სიმეჩხრისა (15-20 პროცენტი), მათი აღდგენის გეგმა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში წელს შესრულებულია 49,4 პროცენტით. ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებს სრულებით არ უწარმოებიათ მეჩხერი ვენახების რემონტი.

ეს იმიტომ ხდება, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე საძირე ვაზის სადედეების მოვლას, რის შედეგადაც საძირე ვაზის ლერწის გამოსავლიანობა მეტად დაბალია. ბევრ კოლმეურნეობაში სადედეების ნაწილი მთლიანად დაიღუპა, ხოლო ნაწილს ძლიერ მორეული აქვს სარეველა მცენარეები.

სანერგეებში ნიადაგის არადამაკმაყოფილებელი დამუშავების, ვაზის ნერგის ცუდი მოვლის, საძირე მასალის არასაკმაოდ გულმოდგინე შერჩევისა და მყნობის დაბალი ხარისხის შედეგად სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობა მთლიანად რესპუბლიკაში 1951 წელს მხოლოდ 22.4 პროცენტს შეადგენდა და 1952 წელს — 24.2 პროცენტს.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გაგრძელება

1954 წელს ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარდეს შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები — გატარდეს მწკრივთა შორის ნიადაგის ღრმად დამუშავება მწკრივებში გადაბარვით, ამავე დროს შეტანილ იქნას ორგანული, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, გადაყვანილ იქნას ვენახები შპალერზე, აგრეთვე დროულად მომზადდეს ნიადაგი ახალი ვენახების გასაშენებლად, ამასთან ამ სამუშაოთა შესრულებისას უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული მტს-ები.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ უახლოეს წლებში ფართობების მხრივ გადავაჭარბოთ მევენახეობის ომამდელ დონეს, დავნერგოთ საუკეთესო ჯიშები, გავაუმჯობესოთ ისინი და გამოვიყვანოთ ვაზის ახალი მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი ჯიშები. ძირეულად უნდა გავაუმჯობესოთ ყურძნის მოყვანის კულტურა. მთელი ძალები უნდა წარვმართოთ იქითკენ, რომ მივაღწიოთ საქართველოს ამ დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

### მეთამბაქოობა

საქართველოს პირობებში თამბაქო ერთ-ერთი ძვირფასი ტექნიკური კულტურაა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ეკონომიკაში. მთლიანად რესპუბლიკა, აგრეთვე მეტი წილი რაიონები წლითიწლობით ასრულებდნენ თამბაქოს მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმებს.

რამდენადმე გაუმჯობესდა ნედლეულის ხარისხიც. 1952 წლის მოსავლიდან უმაღლესი ხარისხის თამბაქო ჩაბარდა 93 პროცენტით მეტი, ვიდრე 1949 წელს.

ჩვენ გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებლები გვექნებოდა, ყველა კოლმეურნეობა კეთილსინდისიერად რომ ასრულებდეს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმებს. მეთამბაქოობის კოლმეურნეობათა 30 პროცენტზე მეტმა 1951 და 1952 წლებში ვერ შეასრულა თამბაქოს ჩაბარების გეგმები.

მაგალითი მოწინავე კოლმეურნეობებისა, ბრიგადებისა, რგოლებისა და ცალკეული კოლმეურნეებისა, რომლებიც ამ კულტურის მაღალი ასორტიმენტის უხვ მოსავალს იღებენ, სავსებით დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ მეთამბაქოობის ზოგიერთი კოლმეურნეობა ძალიან სუსტად იყენებს მათს განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს თამბაქოს ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისა და მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში თამბაქოს ფართობი დიდდება. 1955 წელს ჩვენ უნდა გვქონდეს 15 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები, ესე იგი 4.000 ჰექტარით მეტი, ვიდრე წელს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფართობების გადიდებამ არ გამოიწვიოს თამბაქოს ხარისხის გაუარესება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ, აგრეთვე პარტიის რაიკომებმა და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ თამბაქოს რგვის გეგმის სწორი განაწილება რაიონებსა და კოლმეურნეობებზე.

მართალია, ცალკეული რაიონები ჩივიან, რომ ძლიერ გადატვირთული არიან თამბაქოს ფართობებით, რომ ეს ფართობები ბევრად აღემატება არსებულ ნორმებს. ალბათ საჭირო იქნება გავითვალისწინოთ ეს მდგომარეობა. არ შეიძლება ხელაღებით მივუდგეთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას, როგორიც არის ფართობების გადიდება.

ამხანაგებმა ისე არ უნდა გამიგონ, თითქოს მე ფართობების შემცირების მომხრე ვიყო. ამას ვერ დავუშვებთ, მაგრამ თუ ერთი რაიონი მეტისმეტად გადატვირთულია თამბაქოთი, შეიძლება იგი განვტვირთოთ სხვა რაიონების ხარჯზე. ამასთან ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ფართობების ზრდასთან ერთად გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა.

### მებაღეობა

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მებაღეობას. ზოგიერთ რაიონში — გორის, ქარელის, სტალინირის, ახალციხის, ტყიბულის, კასპისა და სხვა რაიონებში — იგი მეურნეობის წამყვანი დარგი და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ხეხილის ბაღების ფართობი რესპუბლიკაში, 1952 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით, 95.472 ჰექტარს შეადგენდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 სექტემბრის დადგენილების თანახმად ჩვენ 1954-1955 წლებში უნდა გავაშენოთ 7.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები, აქედან 1954 წელს — 3.000 ჰექტარი და 1955 წელს — 4.000 ჰექტარი.

უკანასკნელ წლებში სრულიად უხარისხოდ და ვადების დიდი დარღვევით წარმოებდა ბაღებში ნიადაგის დამუშავება, სხვლა, სასუქების შეტანა, რწყვა, მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა. ამის შედეგად მოსავალი მკვეთრად შემცირდა.

უნდა აღინიშნოს მებაღეობაში სამუშაოთა მექანიზაციის მეტად დაბალი დონე. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მებაღეობის საკითხებს; სრულებით არა ჩანს მათი ხელმძღვანელი როლი აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში. მტს-ები საკმაოდ არ არიან აღჭურვილნი მანქანებითა და იარაღებით ხეხილის ბაღების მოვლის სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ხეხილის ბაღების გაშენება. ბაღები, რომლებსაც ყოველ წელიწადს მნიშვნელოვან ფართობებზე აშენებენ, მოუვლელობით იღუპება.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ბაღების გაშენებისა და აღდგენის გეგმა საერთოდ შესრულდა, ცალკეულ რაიონებში ჯერ კიდევ ჩამორჩენაა. მაგალითად, გარდაბნის რაიონმა გაშენების გეგმა 40 პროცენტით შეასრულა, წყალტუბოს რაიონმა — 36,7 პროცენტით, ვანის რაიონმა — 66,7 პროცენტით, ხოლო აბაშის, ონის და ზოგიერთმა სხვა რაიონებმა საერთოდ ჩაშალეს ბაღების გაშენებისა და აღდგენის გეგმის შესრულება.

მთელ რიგ რაიონებში უზრუნველყოფილი არ არის ბაღების ჯეროვანი მოვლა. მაგალითად, სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ 1,5 ჰექტარი ატმის ნარგავები მთლიანად გააფუჭა პირუტყვმა.

ბევრ რაიონში ბაღების რწყვა და ნიადაგის გაფხვიერება სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბაღების წამლობის საქმეში; დაცული არ არის წამლობის აგროტექნიკური ვადები, დაბალია სამუშაოთა ხარისხი.

რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა უზრუნველყონ ყველა რაიონსა და კოლმეურნეობაში ბაღების მოვლის, გაშენებისა და აღდგენის იმ სამუშაოთა მთლიანად შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია წლიური გეგმებით.

## კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და დამზადების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში კარტოფილს, როგორც სასურსათო კულტურას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ხოლო ზოგიერთ რაიონში იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისა და ამ კულტურათა ფართობების გადიდების საკითხს. პლენუმმა აღნიშნა მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის სერიოზული ჩამორჩენა, ცხადყო ამ ჩამორჩენის მიზეზები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის სწრაფ აღმავლობას. პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამ კულტურათა მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და მოწინავე აგროწესების გამოყენების საფუძველზე, რათა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება აყვანილ იქნას ისეთ ოდენობამდე, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, გადამმუშავებელი მრეწველობის საჭიროებებს, არამედ მეცხოველეობის მოთხოვნილებასაც კარტოფილზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნიადაგისა და ჰავის ხელსაყრელი პირობები და დიდი შესაძლებლობები აქვს სოფლის მეურნეობის ამ დარგების წარმატებით განვითარებისათვის და მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი ბოსტნეულით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის საქმე რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში მეტად ცუდად არის დაყენებული.

იქ, სადაც კოლმეურნეობები ამ შესაძლებლობებით სარგებლობენ და შრომის მოწინავე მეთოდებს იყენებენ, ისინი კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვ მოსავალს იღებენ. მაგალითად, გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც კულტურების შემჭიდროების მეთოდს იყენებს, ჰექტარზე 338 ცენტნერ ბოსტნეულს იღებს. ვანის რაიონის სოფელ სალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო 191,4 ცენტნერი ხახვი გეგმით გათვალისწინებული 85 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ყოველწლიურად საშუალოდ ჰექტარზე მოჰყავს 250 ცენტნერი კარტოფილი.

მაგრამ ასეთი კოლმეურნეობები გამონაკლისს შეადგენენ. კარტოფილის მოსავლიანობა მთლიანად რესპუბლიკაში დაბალია, განსაკუთრებით დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში.

1951 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოსავლიანობა ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 125 ცენტნერის ნაცვლად, ფაქტიურად შეადგენდა 58.8 ცენტნერს, ხოლო 1952 წელს, გეგმით გათვალისწინებული 120 ცენტნერის ნაცვლად — მხოლოდ 22,6 ცენტნერს.

კარტოფილის დაბალი მოსავლიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს კარტოფილის მოყვანის დადგენილი აგროტექნიკური წესების შეუსრულებლობა: ბევრ კოლმეურნეობაში კარტოფილს რგავენ გაზაფხულის ნახნავში ნაცვლად მზრალად ხნულისა, რგვა წარმოებს დიდი დაგვიანებით, არ იცავენ მცენარეთა დადგენილ სიხშირეს, კარტოფილის ფართობებში საკმაო რაოდენობით არ შეაქვთ ორგანული სასუქები.

მეთესლეობა და ჯიშთა გაუმჯობესებისათვის მუშაობა დაბალ დონეზე წარმოებს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო საჭირო ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგოს კარტოფილის რგვის პროგრესული კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რომელიც იძლევა ნათესების მოვლის სრული მექანიზაციის, ხელით შრომის ხარჯვის ბევრად შემცირებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობას.

წელს კარტოფილის რგვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 90,1 პროცენტით.

საკმაოდ არ იყენებენ სარწყავ ნაკვეთებზე კარტოფილის განლაგების შესაძლებლობებს, არ სწავლობენ და არ იყენებენ წყლის ადგილობრივ რესურსებს ნათესის რწყვის მოსაწყობად.

კარტოფილის ჯიშობრივი შემადგენლობა წლითიწლობით უმჯობესდება. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არ გადასულა ჯიშიანი დარაიონებული კარტოფილის მთლიან რგვაზე.

უნდა დავძლიოთ ჩამორჩენა კარტოფილის წარმოებაში, რათა უახლოეს წლებში სავსებით დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მოთხოვნილება კარტოფილზე.

ეს ამოცანა რომ შევასრულოთ, საჭიროა განვახორციელოთ მთელი რიგი ღონისძიებანი კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად და უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ფართოდ დანერგვა, რგვის, ნათესების მოვლის, მოსავლის აღების სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია.

რესპუბლიკის ნიადაგისა და ჰავის პირობები შესაძლებლობას იძლევა მოვაწყოთ ბოსტნეული კულტურების ინტენსიური წარმოება და მთელი წლის განმავლობაში ფართო ასორტიმენტით მივიღოთ ბოსტნეული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა ბოსტნეული კულტურებისათვის გამოყოფილი ფართობები შესამჩნევად იზრდება, მაგრამ ბოსტნეულის მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია და მოსავლიანობის გეგმიანი დავალება წლითიწლობით არ სრულდება. მაგალითად, 1951 წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 54,6 ცენტნერი ბოსტნეული, ხოლო 1952 წელს — 34,9 ცენტნერი გეგმით გათვალისწინებული 101 ცენტნერის ნაცვლად.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სათბურ-კვალსათბურის მეურნეობის აღდგენასა და მშენებლობას.

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებში დასახული იყო 8.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის სათბურების მშენებლობა. ეს მშენებლობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

ჯეროვნად ვერ აფასებენ მზრალად ხვნას, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს იმ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებიც მიმართულია ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისაკენ.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება მექანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ძალიან სუსტად არიან აღჭურვილნი სპეციალური მანქანებითა და იარაღებით ბოსტნეულ კულტურათა თესვის ჩატარებისა და ნათესების მექანიზებული დამუშავებისათვის. ისინი ჯეროვნად ვერ იყენებენ არსებულ მექანიზმებს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება ბოსტნეულ კულტურათა რგვისა და თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროში და მის ადგილობრივ ორგანოებში ვხვდებით გულგრილ დამოკიდებულებას ბოსტნეულის მოყვანის ახალი პროგრესული წესებისა და ხერხებისადმი და უწინარეს ყოვლისა რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესისადმი.

საქართველოში არ არის არც ერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომელიც მუშაობდეს ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის აგროტექნიკისა და მექანიზაციის შესასწავლად და საკოლმეურნეო წარმოებაში დასანერგავად. მებოსტნეობის განყოფილება, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტში არსებობდა, ლიკვიდირებულია, და ფაქტიურად მებოსტნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას არავინ არ ეწევა. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უნდა გადავსინჯოთ და წინანდელი მდგომარეობა აღვადგინოთ.

იმ მიზნით, რომ გავადიდოთ ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა და მთელი წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ ქალაქები, სამრეწველო ცენტრები და კურორტები ბოსტნეულით, საჭიროა:

ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობები კოლმეურნეობებში 1954 წელს ავიყვანოთ 12 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 9 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1955 წელს — 13 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 9 ათას ჰექტარამდე;

უზრუნველვყოთ მებოსტნეობის ძირითად რაიონებში მინერალური სასუქების შეზიდვა როგორც ძირითადი შეტანისათვის, ისე დამატებითი გამოკვებისათვის, აგრეთვე რაციონალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი ორგანული სასუქების არსებული რესურსები;

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სათბურ-კვალსათბურის მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას და, კერძოდ, მიმდინარე წელს სასათბურო მეურნეობის მშენებლობის დამთავრებას გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

თბილისის ახლოს მდებარე რაიონებში სათბურ-კვალსათბურის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით წინადადება უნდა მიეცეს ქალაქის სამრეწველო საწარმოებს მოაწყონ შეფობა ამ რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებზე, მოაწყონ სათბურებისა და კვალსათბურების მშენებლობა საშეფო კოლმეურნეობებში კოლმეურნეობათა საკუთარ ხარჯზე, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ თავიანთი ძირითადი პროგრამის შესრულებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ უნდა მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აღჭურვოს სპეციალური მანქანებით ბოსტნეული კულტურების თესვისა და მათი მოვლისათვის. მტს-ების დირექტორების ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ საჭიროა უთუოდ შესრულდეს ბოსტნეული კულტურებისათვის მზრალად ხვნის გეგმა.

მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის რთული დარგია. უნარიანად რომ უხელმძღვანელო, კარგად უნდა იცნობდე მას. პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანის მექანიზაციის საკითხებში ვერ ერკვევა, სათავეში ვერ ჩაუდგება ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს ნამდვილად უზრუნველვყოთ ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში დავაკმაყოფილოთ მოსახლეობისა და საკონსერვო მრეწველობის მოთხოვნილება ბოსტნეულზე. ჩვენ მოვალენი ვართ შევასრულოთ ეს საპატიო ამოცანა.

## მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების შედეგად მიწათმოქმედების კულტურა საქართველოში წლითიწლობით უმჯობესდება.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და მემინდვრეობის ბრიგადები მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავალს იღებენ. წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ 1952 წელს 3.204 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 20,7 ცენტნერი, ხოლო ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ 1953 წელს 1.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 21,3 ცენტნერი ხორბალი.

მაგრამ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საკითხსა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რის შედეგად მეტ წილ რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალ დონეზე დგას.

ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ურიგდებიან სამუშაოთა რიგითობის მავნე პრაქტიკას, სათანადოდ ვერ აფასებენ აგროტექნიკის საკითხებს, ურიგდებიან მის უხეშ დარღვევებს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები არღვევენ ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების ვადებს და ხშირად უხარისხოდ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

ისეთ პროგრესულ აგროტექნიკურ წესებს, როგორიც არის ხორბლის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, რომელიც ხელს უწყობს მისი მოსავლიანობის გადიდებას, აგრეთვე სიმინდისა და მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უმნიშვნელო ფართობებზე იყენებენ.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად იყენებდნენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მინერალურ სასუქებს.

მთელ რიგ რაიონებში დღემდე ჯეროვნად არ აფასებენ მზრალად ხვნის აგროტექნიკურ მნიშვნელობას საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მზრალად ხვნას კოლმეურნეობები და მტს-ები ჩვეულებრივად დიდი დაგვიანებით იწყებენ, რის შედეგად არ სრულდება მზრალად ხვნის გეგმა და საგაზაფხულო კულტურების მნიშვნელოვანი ფართობი გაზაფხულის ნახნავში ითესება.

საგაზაფხულო ხვნას, რომელიც ნიადაგისა და ჰავის პირობების გამო დასაშვებია დასავლეთ საქართველოს რაიონებში, ჯერ კიდევ აწარმოებენ მნიშვნელოვან ფართობებზე მეტად დაგვიანებულ ვადებში, საგაზაფხულო კულტურების თესვასთან ერთად.

რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და მტს-ი საჭირო ზომებს არ იღებს ადრეული საგაზაფხულო ხვნის ჩასატარებლად ზამთრის თბილ თვეებშიც კი, არ აჩქარებს მასობრივ ხვნას, გადააქვს იგი გვიანი ვადებისათვის და ამით აჭიანურებს საგაზაფხულო კულტურების თესვას.

1953 წელს აგროტექნიკური ვადების გასვლის შემდეგ დაითესა 130 ათასი ჰექტარი სიმინდი და 13,3 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი.

ბევრ კოლმეურნეობაში დროზე და კეთილხარისხოვნად არ უვლიან სათოხნი კულტურების ნათესებს, ხელიდან უშვებენ მათი დამუშავების საუკეთესო ვადებს და არ ებრძვიან ნათესებში სარეველების გავრცელებას, ხოლო მტს-ები ცუდად ასრულებენ ამ კულტურების მექანიზებული დამუშავების სამუშაოებს.

მიმდინარე წელს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა საერთოდ უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობდა, ვიდრე გასულ წლებში, მაგრამ ახალქალაქის, დმანისის, თიანეთის, ახალციხის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების კოლმეურნეობები, აგრეთვე სამთავისის, ხაშურის, გალის, ზნაურის, რუისის, ვაჩიანის, ახალციხის, ბარალეთის, კაჭრეთის, ბადიაურისა და მთელი რიგი სხვა მტს-ები უხეშად არღვევდნენ ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკას. ზოგიერთ რაიონში თესავდნენ არაკონდიციურ თესლს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენში მარცვლეული კულტურები უყურადღებოდ არის მიტოვებული. თუ ხორბლის მოყვანის საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული, სიმინდის მოყვანას ბევრ რაიონში ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათი აქვს, ხელით წარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სიმინდი დიდ ფართობებზე მოჰყავთ, მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მის მოყვანას, სისტემატურად ირღვევა სიმინდის მოვლის აგროტექნიკა, რის შედეგადაც მეტად დაბალ მოსავალს იღებენ. ასეთ მდგომარეობას ვეღარ შევურიგდებით.

საქართველოს სასელექციო სადგურმა უნდა გააძლიეროს მუშაობა უახლოეს წლებში მარცვლეული კულტურების და პირველ რიგში ალაზნის ველის რაიონებისათვის საშემოდგომო ხორბლის მაღალმოსავლიანი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიშების გამოსაყვანად.

## მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი დარგია. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის კოლმეურნეობები წლითიწლობით ვერ ასრულებენ გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების გეგმებს. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება განმეორებითი გამოკვების თესლის რეალიზაციის გეგმების მნიშვნელოვანი გადიდება, რაც მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს საკვები ბაზის მდგომარეობაზე.

მიმდინარე წელს გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 90,8 პროცენტით. სახელმწიფოს დააკლდა 2.929 ცენტნერი პარკი.

კოლმეურნეობები, რომლებიც იყენებენ ჭიის გამოკვების ქისტაურელთა ჩქაროსნულ მეთოდს, პარკის დიდ მოსავალს იღებენ. მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობაში დურგლიშვილის რგოლმა აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა შეასრულა 222 პროცენტით და კოლოფ თესლზე საშუალოდ მიიღო 120 კილოგრამი პარკი.

მეაბრეშუმეობის ბევრ კოლმეურნეობაში ჭიის გამოკვების საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს დაწესებულ იქნა მეორე გამოკვების გეგმა, პარკის ჩაბარების წლიური გეგმა არ შესრულებულა და სახელმწიფოს დააკლდა 1.127 ცენტნერი პარკი. პარკის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს გუდაუთის, ხაშურის, საგარეჯოს, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ზუგდიდისა და აბაშის რაიონებმა.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე დასახულია ამოცანა — შეიმუშაოს ღონისძიებანი ჭიის დაავადებებთან საბრძოლველად, რომლებიც მცირე ზარალს როდი აყენებენ რესპუბლიკის მეაბრეშუმეობას.

მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება მთლიანად დამოკიდებულია მის უზრუნველყოფაზე საჭირო საკვები ბაზით. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა თუთის ხის ნარგავების გაფართოებისა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, საკვები ბაზა ჯერ კიდევ არ შეესაბამება მეაბრეშუმეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

არ სრულდება თუთის ხის რგვის გეგმები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნარგავები მოუვლელია.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების მიერ გამოყვანილი თუთის ხის ახალი ჯიშები „საქართველო“, „ქუთაისური“ და „თბილისური“ იძლევიან ხარისხოვანი ფოთლის 2,5-3-ჯერ მეტ მოსავალს, ვიდრე უჯიშო თუთის ხე. საჭიროა ეს ახალი ჯიშები უფრო ფართოდ დაინერგოს წარმოებაში.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ თუთის ხის არსებულ ნარგავთა მდგომარეობა, უზრუნველყონ პლანტაციების დიდ მასივებად გაშენებისა და შემოღობილ ფართობებზე მაღალღეროიანი ნერგების დარგვის დაწესებული გეგმის შესრულება, ამასთან უზრუნველყონ მათი სათანადო მოვლა.

## წყალთა მეურნეობის შესახებ

უკანასკნელ წლებში გაწეულია გარკვეული მუშაობა რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის განვითარებისათვის. აგებული და რეკონსტრუირებულია ალაზნის, აჯამეთის, სალთვისის, დოეს-გრაკალისა და კეხვის სარწყავი სისტემები, გაყვანილია აგრეთვე მთელი რიგი წვრილი სარწყავი და დასაშრობი არხები.

მაგრამ წყალთა მეურნეობის სამუშაოების ტემპები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

ცუდი მდგომარეობაა წყალთა მეურნეობის მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმის შესრულების მხრივ. 9 თვის განმავლობაში წყალთა მეურნეობის მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 50,8 პროცენტით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 12.000 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობები, 4.200 ჰექტარი ამოშრობილი ფართობები, მოახდინოს სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია 1.600 ჰექტარ ფართობზე. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ძირეულად გარდაქმნას თავისი მუშაობა.

სუბტროპიკული კულტურების ფართობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს. კოლხიდმშენის სამმართველომ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწია. საჭიროა ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს კოლხიდმშენის კოლექტივს მისთვის დაკისრებულ ამოცანათა შესრულებაში.

სარწყავი მიწათმოქმედების გაუმჯობესების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლა და, ამასთან დაკავშირებით, არსებული სარწყავი ქსელის გარდაქმნა.

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა უკეთ მოწყობისა და შესრულების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დაისვას

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების დასასრული

საკითხი რესპუბლიკაში წყალთა მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ.

სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და უზრუნველყონ შესრულება წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმისა, რომელიც მთავრობის მიერ არის დაწესებული. ბოლო უნდა მოვუღოთ ჩამორჩენას ამ საქმეში.

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის დახმარების მეოხებით ჩვენს რესპუბლიკას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების ფართო ქსელი აქვს. მაგრამ რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების საწარმოო საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ბევრ მტს-ში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, დროზე არ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ზოგიერთ რაიონში უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლისა და დამუშავების აგროტექნიკურ ვადებს.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ცუდი გამოყენების შედეგად 101 მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან 30-ს და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგურიდან 2-ს შარშან არ შეუსრულებია სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა.

მთლიანად რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურების თესვაში გეგმის შესრულებას დააკლდა 12,7 პროცენტი, კარტოფილის რგვაში — 39,9 პროცენტი, სათოხნი კულტურების მწკრივთა შორის დამუშავებაში — 67,2 პროცენტი, სუფთა ანეულის ხვნაში — 20,8 პროცენტი, ანეულის კულტივაციაში — 51,9 პროცენტი, საშემოდგომო კულტურების თესვაში — 17,4 პროცენტი, მზრალად ხვნაში — 27,4 პროცენტი.

მტს-ები არ ასრულებენ ისეთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, როგორიც არის სათოხნი კულტურების კულტივაცია, ანეულის დამუშავება და ნაწვერალის აოშვა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ჯერ კიდევ დაბალია ჩაის, ციტრუსების, ვენახების, ბაღების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ტექნიკური კულტურების მოყვანა-დამუშავების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის პროცენტი.

სატრაქტორო პარკის წარმადობაზე დიდ გავლენას ახდენს კოლმეურნეობების მიერ მტს-ებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა. კოლმეურნეობები სატრაქტორო ბრიგადებისათვის არ აწყობენ საველე ბანაკებს, არ უქმნიან ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს მექანიზატორებს მინდვრის სამუშაოთა პერიოდში, არ გამოჰყოფენ მისაბმელ მანქანებზე მომუშავეებს, საწვავისა და წყლის მუდმივ მზიდავებს, საჭირო ტრანსპორტს.

ზოგიერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური უპასუხისმგებლოდ ეკიდება კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა გეგმის შესრულებას. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, გორის, წალკის, ახმეტისა და ამბროლაურის რაიონების მტს-ები და კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ შესდგომიან მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გეგმის შესრულებას. მტს-ები წლითიწლობით ვერ ასრულებენ უხეში საკვების დაგროვების გეგმებს.

რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 20 ოქტომბრისათვის 88,4 პროცენტით შეასრულეს. ეს 346.553 ჰექტარით აღემატება გასული წლის იმავე დროის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას. მაგრამ მიმდინარე წელს მტს-ებს არ განუხორციელებიათ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის სათოხნი კულტურების კულტივაცია, ბაღებისა და ვენახების დამუშავება, ნაწვერალის აოშვა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადება, ბაღების წამლობა და სხვ.

მტს-ების წარმატებითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო მექანიზატორების მოწინავე გამოცდილების გამოყენებასა და გავრცელებას. მუშაობის მოწინავე მეთოდების — საათობრივი გრაფიკის, სტახანოვური მარშრუტების, კომბაინების სვლის დროს განტვირთვის და სხვ. გამოყენებით ახმეტის მტს-ის კომბაინერმა ამხ. ს. რამაზაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 23 სამუშაო დღეში აიღო 500 ჰექტარზე მეტი, როცა გეგმა 280 ჰექტარს ითვალისწინებდა, და გალეწა 5.260 ცენტნერი მარცვალი; აგარის მტს-ის კომბაინერმა ალექსი ტიტვინიძემ „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 22 სამუშაო დღეში აიღო 555 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა; ასურეთის მტს-ის კომბაინერმა ამხ. ჩომახიშვილმა 22 სამუშაო დღეში აიღო 650 ჰექტარი.

ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ეს წარმატებანი და ფართოდ დავნერგოთ მექანიზატორთა მუშაობის მოწინავე მეთოდები მანქანა-ტრაქტორთა პარკის უკეთ გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ მექანიზმების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესება, მიაღწიონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის დონის ამაღლებას.

საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ როგორც მტს-ები, ისე კოლმეურნეობები მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით უთუოდ ასრულებდნენ ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს დაწესებულ ვადებში.

ამჟამად რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანები: უახლოეს დღეებში დაამთავრონ საშემოდგომო თესვა, გამოიყენონ თესვის მოწინავე მეთოდები — ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, ნიადაგის მომზადება მრავალწლიანი ნარგავებისათვის, მზრალად ხვნა — და მიაღწიონ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმის უთუოდ შესრულებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის მომზადებასა და მაღალ დონეზე ჩატარებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნა სერიოზული შეუსაბამობა მათი რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის დონესა და მისი რემონტისა და შენახვისათვის საწარმოო-ტექნიკურ ბაზას შორის.

ბევრ მტს-ს დღემდე არა აქვს სარემონტო სახელოსნოები, საჭირო მოწყობილობა, გარაჟები, ფარდულები და სხვა საწარმოო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო შენობები.

რესპუბლიკის 101 მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგურიდან ტიპური სახელოსნოები აქვს მხოლოდ 45 სადგურს, არატიპური შეხამებული შენობები, რომლებიც რეკონსტრუქციას მოითხოვს, აქვს 44 მტს-ს, ხოლო დანარჩენ 15 სადგურს სულაც არა აქვს სახელოსნოები.

მტს-ებში საწარმოო და საცხოვრებელი შენობების ასაგებად გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ათვისება არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო არასწორად გეგმავს მშენებლობას მტს-ებში. მშენებლობისათვის ასიგნებულ სახსრებს ქსაქსავენ ყველა მტს-ში, არ უზრუნველყოფენ დაწყებული სამშენებლო ობიექტების სრულ დაფინანსებას, რომლებიც შემდეგ წლობით რჩებიან გარდამავალ ობიექტებად.

მტს-ებისათვის 1953 წლის კაპიტალდაბანდებათა დამტკიცებული გეგმა განვლილ 9 თვეში შესრულებულია მხოლოდ 79,9 პროცენტით.

მტს-ების საწარმოო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დიდი მნიშვნელობის გამო უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და სპეციალიზებულ სადგურს ჰქონდეს ტიპური სარემონტო სახელოსნო, ტრაქტორების შესანახი ორი-სამი გარაჟი მაინც, კომბაინების შესანახი ორი-სამი ფარდული, საჭირო რაოდენობით ფარდულები და ბეტონის ღია ბაქნები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად, საჭირო საცხოვრებელი ფართობი მტს-ის მუშაკებისათვის, ნავთობის ბაზა, ავტოგარაჟები, სათადარიგო ნაწილების საწყობი, კანტორა, წყალსადენი.

მტს-ების მშენებლობის დარგში 1954-1956 წლების ამოცანათა შესასრულებლად მშენებლებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, აშენონ სწრაფად და მაღალხარისხოვნად, ეცადონ მიაღწიონ მშენებლობის გეგმების უთუოდ შესრულებას.

## სპეციალისტთა მომზადების და მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის შესახებ

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების ამოცანა წარმატებით რომ გადავჭრათ, საჭიროა გვყავდეს კვალიფიციური კადრები.

სოფლის მეურნეობის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების საქმეში რესპუბლიკას გარკვეული წარმატებები აქვს.

სოფლის მეურნეობისათვის კადრებს ამზადებს სოფლის მეურნეობის სამი უმაღლესი სასწავლებელი, 30 ტექნიკუმი და 8 სკოლა. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამ სასწავლებლებმა 4.869 სპეციალისტი მოამზადეს. ამავე წლების განმავლობაში მექანიზატორთა კადრებიდან მომზადებული და გადამზადებულია 14.963 კაცი.

მაგრამ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. შეუწყნარებელია, როცა ჩვენს სასწავლებლებში სარგებლობენ მოძველებული ტექნიკით, როცა სასწავლებლებს ახალი მოწყობილობა არა აქვთ. სწორედ უმაღლესი სასწავლებლები უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის ყველა სიახლის გამავრცელებლები.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ახალგაზრდა სპეციალისტებს ადგილებზე არ უქმნიან ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობებს, რის შედეგადაც კადრების დენადობაა.

საჭიროა, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებმა, ტექნიკუმებმა და სკოლებმა გააუმჯობესონ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, მისცენ მათ წარმოებაში პრაქტიკული მუშაობის საჭირო ჩვევები, უწევდნენ მათ ყოველდღიურ დახმარებას შემდგომ მუშაობაშიც.

ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სისტემაში მუშაობს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე 9.878 სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლებით — 5.863 კაცი.

მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ცუდი მდგომარეობაა სპეციალისტთა განაწილების მხრივ; ბევრი მათგანი რჩება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ან საერთოდ თავს არიდებს სოფლად მუშაობას. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით რამდენადმე გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა. ამჟამად კოლმეურნეობათა 2.060 თავმჯდომარიდან 567 კაცს ანუ 27,5 პროცენტს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვს.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ შემდეგშიც უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანამდებობაზე საქმის მცოდნე სპეციალისტებს, განსაკუთრებით უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონეთ, რომლებსაც აქვთ საჭირო ორგანიზატორული უნარი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა მოქცეული იქნება მტს-ებში, და ამიტომ ხელმძღვანელი კადრებით მათი დაკომპლექტების საკითხი ამჟამად მეტად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა გადასინჯონ მტს-ების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა, უუნარო მუშაკები შეცვალონ ახალი, უფრო კვალიფიციური მუშაკებით, რომლებსაც აქვთ სოფლის მეურნეობაში მუშაობის საკმაო გამოცდილება.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების წარმატება დიდად არის დამოკიდებული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის სწორ დაყენებაზე და სოფლის მეურნეობაში მათს დანერგვაზე.

რესპუბლიკაში ბევრია სოფლის მეურნეობის ნოვატორი, მოწინავე კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა, რომლებმაც მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. სამწუხაროდ, მათს გამოცდილებას სუსტად უწევენ პროპაგანდას და ცუდად ნერგავენ წარმოებაში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება. ჩვენმა მეცნიერებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ცოდნის სხვადასხვა დარგში, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დარგშიც. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება წარმოების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება მუშაობს წარმოებისაგან მოწყვეტით, საკმაო ყურადღებით არ ეკიდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების აქტუალური საკითხების დამუშავებას.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი საკმაო რაოდენობით არ აწყობენ საუბრებს, ლექციებს, მოხსენებებს, გამსვლელ სამეცნიერო სესიებს კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არ უწევენ მათ საკმაო პრაქტიკულ დახმარებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის გაუმჯობესებაში, მათი მოსავლიანობის გადიდებაში, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში.

სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შეფობას კოლმეურნეობებზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებზე მათი საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესების მიზნით.

კოლმეურნეობებზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებზე შეფობა დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლო ღონისძიებაა, და მას მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა მომავალში უფრო ფართო მასშტაბით უნდა უზრუნველყონ შეფობა, გახადონ იგი მაქსიმალურად ქმედითი და უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების მაღალი მაჩვენებლები; მათ საქმით უნდა განახორციელონ თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირი, ისე გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებას.

სამეცნიერო დაწესებულებები მოვალენი არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკითხების შესწავლასა და დამუშავებას.

## სოფლად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დაგვისახა, საჭიროა სოფლად მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ძირეული გაუმჯობესება და მისი დონის ამაღლება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, ყოველმხრივ დახმარებას გაუწევენ მათ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის ამოცანის გადაწყვეტაში. ამ მიზნით იქმნება ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული პირობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა თვითდინებით წავა. მატერიალური პირობები და შესაძლებლობანი თავისთავად ვერ გადაწყვეტენ ამ ამოცანას. ეს შესაძლებლობანი უნდა გამოვიყენოთ უნარიანად, მთლიანად, რომ წარმატებით განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანები.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულონ კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ჩვენს რესპუბლიკაში 2.060 კოლმეურნეობიდან პარტიული ორგანიზაციებია 1.926 კოლმეურნეობაში. სოფლად კომუნისტთა რიცხვი 58.633 კაცს შეადგენს.

ეს დიდი ძალაა. თუ ამას დავუმატებთ კომკავშირელებს, ისინი კი სოფლად 80.000-ზე მეტია, თუ სწორად გავანაწილებთ და გამოვიყენებთ ამ ძალებს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები შეძლებენ წარმატებით დაძლიონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობასა და მათდამი ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებებია. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ბევრ კოლმეურნეობაში დაბალ დონეზეა, კოლმეურნეთა პოლიტიკურ აღზრდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, პარტორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობები ამჟამად რთულ მრავალდარგოვან მეურნეობებს წარმოადგენენ. ეს პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გადაჭრით გააუმჯობესონ საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები უნდა პოულობდნენ არსებულ რეზერვებს და მთლიანად იყენებდნენ მათ სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობისათვის. ისინი კარგად უნდა იცნობდნენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ხედავდნენ მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და გზებს, ხელს უწყობდნენ მეურნეობის გაძღოლას მეცნიერულ საფუძველზე.

პარტიული ორგანიზაციები ფართოდ უნდა იყენებდნენ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა მრავალფეროვან ფორმას სოციალისტური შეჯიბრების გაშლებისათვის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლო უნდა მოუღონ კომკავშირული ორგანიზაციების შეუფასებლობას. ეს ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდ ძალას წარმოადგენენ. საჭიროა გავაძლიეროთ კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ფართოდ ჩავაბათ ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს ამ მუშაობას, არ რაზმავს კომკავშირელებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად მდგომი ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაწყდეს იმ პირობით, თუ სწორად შევარჩევთ და გავანაწილებთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელ კადრებს, იმ პირობით, თუ განვამტკიცებთ მათ შემოწმებული, პატიოსანი და პარტიისადმი ერთგული მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ მოაწყონ საქმე.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა გადამწყვეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უხელმძღვანელებენ მას პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები. ამიტომ ცხადია ისიც, თუ რაოდენ აუცილებელია ამ ორგანოების განმტკიცება, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებაში მათი როლის ამაღლება.

პარტიის მთელი რიგი სასოფლო რაიკომებისა და რაიაღმასკომების მუშაკები თავიანთი საქმიანი თვისებებით ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ამჟამად ხელმძღვანელებს ვუყენებთ.

ხელმძღვანელი კადრების შეცვლასა და დაწინაურებას მოფიქრებულად, ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ. სუსტ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს უფრო ძლიერი მუშაკებით უნდა ვცვლიდეთ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ ხელმძღვანელი კადრების ხშირი და სრულიად გაუმართლებელი შეცვლა.

უკანასკნელ ორ წელიწადში გაგრის რაიონში პარტიის რაიკომის პირველი მდივნები ოთხჯერ შეიცვალნენ. ამავე პერიოდში სამ-სამჯერ შეიცვალნენ პირველი მდივნები აბაშის, ახმეტის, ბორჯომის, ქუთაისისა და სხვა რაიკომებში. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აღიარა რა, რომ პარტიის სასოფლო რაიკომების ახლანდელი სტრუქტურა არ შეესაბამება მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მოთხოვნებს, საჭიროდ ჩათვალა ახლანდელ ეტაპზე გარდაიქმნას რაიონული პარტიული აპარატის მუშაობა და აღმოიფხვრას გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში.

რაიკომებში თვითეული მტს-ისა და მისი მომსახურების კოლმეურნეობებისათვის შეიქმნება მუშაკთა ჯგუფი რაიკომის მდივნის მეთაურობით. ამრიგად, იქმნება შესაძლებლობა უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ მტს-ებს და განვახორციელოთ კონტროლი მათი საქმიანობისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალ პირობებში მიზანშეუწონლად მიიჩნია, რომ მტს-ებში დარჩეს თანამდებობა დირექტორის მოადგილისა პოლიტიკურ ნაწილში. მტს-ებში პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები იქნებიან. მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მდივნების შერჩევის საქმეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ, რომ დირექტორების მოადგილეებს პოლიტიკურ ნაწილში მექანიკურად უწოდონ პარტბიუროს მდივნები. მდივნებად უნდა შევარჩიოთ გამოცდილი ამხანაგები, რომლებსაც უნარი შესწევთ აიყვანონ მუშაობა ახალი მოთხოვნების დონეზე.

სოფლად მუშაობა უმნიშვნელოვანესი და საპატიო მუშაობაა. სოფლად მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარვმართოთ სოფლის მეურნეობის უსწრაფესი განვითარებისა და აღმავლობის ამოცანების შესრულებისაკენ.

* * *

ამხანაგებო! მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით საბჭოთა ხალხის განუხრელ წინსვლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ახალ ეტაპს გადაგვიშლის საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, ახორციელებს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობას, წარმართავს ყველა ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობას სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზნის შესრულებისაკენ — საბჭოთა ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება — ეს არის უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში მოსახლეობისათვის კვების პროდუქტებისა და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამა. ეს ჭეშმარიტად ისტორიული პროგრამა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმისა, რომელიც ხორციელდება საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებაში ხედავენ პარტიის ახალ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი, ამ დადგენილებით აღფრთოვანებულნი, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში თავიანთი თავდადებული შრომით ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის ამოცანების გადაწყვეტას. ჩვენი პარტიული ორგანიზაციისათვის ამჟამად არ არსებობს უფრო საპატიო და მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე პრაქტიკული მუშაობის მოწყობა იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის დარგში დაგვისახა.

ამხანაგებო, ნება მომეცით თქვენი სახელით პირობა მივცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, განუწყვეტლივ ამაღლებს რა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონეს, აუმჯობესებს რა პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების უთუოდ შესრულებას.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

უე 11176 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“